ნიანგი

№ 7 (1233) თბილისი, აპრილი 1966

გამოცემის 43-ე წელი. ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. ფირცხალავასი

ქრონიკული უბაყურა

კაცური კაცი



სალამს, როგორც მოწყალებას,
იშვიათად არიგებს,
„ძალის-ძალად“ თუ არ მისცეს,
ქრთამსაც კი არ აიღებს.

სამსახურში, ვისაც ჯერ არს,
ეგებება ღიმილით,
თუ გაბრაზდა, ცას მიწვდება
მისი ლანძღვა-ყვირილი.

სადაც ცოლი თითს დაადებს,
იქ აშენებს აგარაკს,
უბატონოდ ნათესავიც
ვერ უბედავს ლაპარაკს.

კოსტუმივით იცვლის ბინებს,
პერანგივით — მანქანებს,
„სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი“,
თავის ჭიას ახარებს.

მისთვის სიტყვის შებრუნებას
ვერვინ ბედავს ავადა,
ცვალებადი კაცია და
შეუცვლელი თამადა.

ტრადიცია ღვინის, ყანწის
წმინდადა აქვს დაცული...
მოკლედ, რაღა გავაგრძელო, —
კაცი არის კაცური!

ზ. კაციაშვილი

ნახ. ვ. აბაშიძისა

— ესაა თქვენი გამწევი ძალა?!
— არ გაწევს და ტყავს გაგაძრობ!
— ტყავი უკვე გაგიძვრიათ!

პარუირ მხითარიანი,
სომხურ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ვოზნის“ თანამშრომელი.

...ეკეკვეკ!

— იცი, შვილო, მე სულაც არ მეწყინება ბებიას თუ დამიძახებენ. — მითხრა დედამ.

— მე არ მინდა შენს საქმეში ჩავერიო, ჩემო შვილო, მაგრამ გახსოვდეს, რომ ბავშვის გაზრდა ტანჯვაა. საერთოდ კი არ გირჩევ აჩქარებას. — მარიგებდა მამა.

ბებია და ბაბუა კი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ ოჯახი ბავშვის გარეშე არ შეიძლება, რომ ბავშვი ოჯახის მშვენებაა.

მოდი და გაიგე კაცმა, როგორ უნდა მოიქცე. მე საამისოდ არც სტაჟი და არც გამოცდილება მყოფნიდა. მხოლოდ რამდენიმე თვე იყო გასული მას შემდეგ, რაც ცოლი შევირთე.

გადავწყვიტე, თვითონ გავრკვეულიყავი ყველაფერში. გაგებული მქონდა, რომ წიგნი — ადამიანის საუკეთესო მეგობარი და მრჩეველია. ამ ლოზუნგით აღფრთოვანებული ჩავუჯექი წიგნებს და დავიწყე კითხვა. ერთ-ერთი დიდი პოეტის კრებულში ასეთ სტრიქონებს წავაწყდი: „მამა ხარ? — გაიძვერა ხარ!..“ შევძრწუნდი. ნუთუ ჩემი დირექტორი... გაიძვერაა, ისიც ხომ მამაა. ანდა მამა-ჩემი! არავითარ შემთხვევაში. პირიქით, იგი სამსახურში ადგილკომის თავმჯდომარედ აირჩიეს, რაისაბჭოს დეპუტატია და კონფერენციის დელეგატი...

დავიბენი. ჩემთვის მხოლოდ ერთი იყო ნათელი, რომ სჯობს, საერთოდ, უცოლოდ დარჩე, ვიდრე ის, რომ გაიძვერა გიძახონ. (თუმცა ჩემი ერთი მეგობარი მთელი გულწრფელობით მიმტკიცებს, რომ ჩვენთან სამსახურში გაიძვერები დიდ პატივისცემაში არიანო).

გადავდე ყველა საქმე და წიგნს წიგნზე ვკითხულობ. ერთ-ერთ პოეტთან ასეთ სტრიქონებს წავაწყდი: „მამა არა ხარ? — გაიძვერა ხარ!...“ აქ კი საბოლოოდ დავიბენი.

დრო კი არ ითმენდა. გაუთავებელ კამათს ბოლო უნდა მოღებოდა. გავხდე თუ არა მამა? ამ აუტანელ ფიქრსა და ყოყმანში ვიყავი, როდესაც... ბავშვი შემეძინა. ახლა პრაქტიკულად ვაკვირდები, თუ მე და ჩემს უმცროს ძმა ოვიკას შორის, რომელი უფრო დიდი გაიძვერაა. ოვიკას ჯერ ცოლ-შვილი არა ჰყავს.

ჩემი ქალიშვილი ღამ-ღამობით მოუსვენრად წრიალებს, ყვირის, ტირის. ბებია და ბაბუა მეხმარებიან ბავშვის დაწყნარებაში. მშობლები კი უკმაყოფილოდ ბუზღუნებენ: „ხომ გეუბნებოდით, ხომ გაფრთხილებდით?!“

გულახდილად რომ ვთქვათ, ჩემს გოგონას ამ არეულობაში ბრალი არ მიუძღვის. ყველაფერში დამნაშავე მეზობლის ძაღლია, რომელიც გამუდმებით ყეფს და არ აძინებს პატარას. რას იზამ, ძაღლს ყეფის რეგლამენტს ვერ დაუნიშნავ. ჩვენი მეზობელი, ძაღლის პატრონი, თოჯინების თეატრის მსახიობია და ხშირად მულტფილმებში შინაურ ცხოველებსაც კი ანსახიერებს.

სხვათა შორის, ეს მისი მეორე ძაღლია. პირველი ძაღლიც ბევრს ყეფდა და ერთმა მეზობელმა მოუწამლა. მაშინ მსახიობმა დიდი აყალმაყალი ატეხა და, რაც მთავარია, ასე დაემუქრა ძაღლის მომწამლავს:

— შენ არ იფიქრო, ძაღლის მოწამვლით სიმშვიდე მოიპოვე. სანამ ახალ ძაღლს არ ვიშოვნი, მე თვითონ ვიყეფებ ღამ-ღამობით!

მსახიობი მართლაც ყეფდა, ყეფდა მთელი მონდომებით, მაგრამ რატომღაც ნაკლები წარმატებით. ალბათ, მაყურებლებისა და თეატრალური კრიტიკოსების გარეშე, შემოქმედებით ენთუზიაზმის ნაკლებობას განიცდიდა.

ასე იყო თუ ისე, ჩვენ ყოველ დილით მივდიოდით სამსახურში და ვბრუნდებოდით მაშინ, როცა ბებია ბავშვს აძინებდა თავისი ტკბილი იავნანთი. ჩემი ცოლი ამის გამო ძალიან ბრაზობდა.

— რა მოძველებულ სიმღერებს მღერის ბებიაშენი?! ბავშვის გემოვნება თავიდანვე უნდა განვითარდეს.

— შენ გინდა, რომ ბებიამ მოცარტის „რექვიემი“ იმღეროს?

— თუ არ შეუძლია, შენ იმღერე!

— მე?

— თუ არც შენ შეგიძლია, მაშინ ვინმე დაიქირავე!

მინდოდა მეთქვა, რომ არსად მოიძებნება ისეთი მომღერალი, რომელიც მიატოვებს ოპერას და მოვა ჩვენთან არიების სამღერლად. რომც გამოჩნდეს ასეთი, რა საშუალებით უნდა დაიქირავოთ, როცა ჩვენი საკუთარი სიცოცხლის დაზღვევის ფულიც კი არა გვაქვს გადახდილი? მინდოდა მეთქვა, მაგრამ გავჩუმდი. გავჩუმდი იმიტომ, რომ ამას მოჰყვებოდა: არა მაქვს ქურქი, არა მაქვს ტუფლი, არა მაქვს კაბა და სხვა..

რას იზამ, ბავშვის დაბადებამდე ჩემი ცოლი ძალზე თვინიერი იყო. ახლა კი, ნუღარ იკითხავთ, თითქოს შემიცვალესო. მე უკვე შევეჩვიე და აღარ ვეკამათები.

ასე რომ, თუ მკითხავენ, ვინ უფრო გაიძვერაა, შენ თუ შენი ძმაო, პასუხის გაცემა, ალბათ, გამიჭირდება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველაფერში დამნაშავე მეზობლის ძაღლია-მეთქი.

თარგმნა ბ. კაჩიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. ჭუმბურიძისა



— ვაიმე, დედა, მუცელი, ვკვდები!..
— ხომ ხართ მოწმე? ჯერ ხელი არ მიხლია!

ნუშისთვალა ქალიშვილი

არ ვიცოდი, ვისი შვილი იყო, სახელად რა ერქვა, სად ცხოვრობდა, ვის ენათესავებოდა, ვისთან მეგობრობდა, სად სწავლობდა; თუ არ სწავლობდა — სად მსახურობდა, იყო თუ არა გათხოვილი, და თუ გაუთხოვარი იყო, ვის თანაუგრძნობდა.

პირველად რომ ვნახე, მარტო მოდიოდა ქუჩაში და როცა მომიახლოვდა, თვალი თვალში გამიყარა. მწვავე ცნობისმოყვარეობა! — აი, რა იხატებოდა მის ლამაზ, ნუშისმაგვარ თვალებში.

მეორეჯერ დედიკოსთან ერთად შემომეყარა. ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ქალიშვილმა კვლავ გამისწორა თვალი და, სანამ არ ჩაიარეს, დაჟინებით მომჩერებოდა. ამჯერად მის მზერაში ჩემდამი სიმპათია ამოვიკითხე და დავასკვენი, რომ ის გაუთხოვარი იყო და მე მოვეწონე.

ამ აღმოჩენამ გული სიამით ამივსო. გადავწყვიტე, მორიგი შეხვედრის დროს, გამოვლაპარაკებოდი, გამეცნო, და, საბოლოოდ, ცხოვრების მეგობრად გამეხადა.

დიდხანს ვიფიქრე იმაზე, თუ როგორ დამეწყო მოქმედება. წინ გადავდგომოდი? ვაითუ, დამეფრთხო. სალამი მიმეცა? ბრიყვიაო, იფიქრებდა. ადევნება და მალულად ცნობების შეკრება კი ჩემს თავს არ ვაკადრე. არადა, ისეთ ადგილას ვერსად შევხვდი, სადაც ქალის გაცნობა არამცთუ ადვილი და მოსახერხებელი, არამედ ზოგჯერ გარდაუვალიც კი არის. მოულოდნელად შემომეყრებოდა ხოლმე გზაზე, გამომწვევად შემომხედავდა, ჩაივლიდა და მტოვებდა აღგზნებულ-აფორიაქებულს.

ბოლოს, როგორც იქნა, მომეცა განზრახვის სისრულეში მოყვანის შესაძლებლობა.

ამხანაგის თანხლებით სამსახურისკენ მივიჩქაროდი, როცა ჩვენკენ მომავალი ნუშისთვალა ქალიშვილი დავინახე. ამხანაგის გვერდით ყოფნამ სიმხნევე შემმატა, ნაბიჯი შევანელე და გუნებაში სათქმელის ჩამოყალიბებას შევუდექი: „ბოდიში, ერთი წუთით, თუ შეიძლება! მაპატიეთ, რომ ასე მოურიდებლად გაგაჩერეთ, მაგრამ!“

— ოთარ! — გამაწყვეტინა ფიქრი ამხანაგმა. — ჩვენკენ რომ გოგო მოდის, კარგად დააკვირდი: რაღაც სხვანაირად მიყურებს ხოლმე... ვატყობ, მოვწონვარ. საცა შემხვდება, თვალს მიშტერებს, მესიყვარულება... ერთი უნდა მოვსინჯო და გამოველაპარაკო!..

გ. შარაშიძე

ნახ. გ. ფირცხალავახი



წვრილშვილიანი დედა

ნამდვილი, ნამდვილი, ნამდვილი ამბავი

სამი ვირი ქეიფობდა,
სამი ვირი „მგოსანი“,
ღვინო ედგათ ტიბაანის,
შარშანდელი მოსავლის.

ნიახური და ტარხუნა
და ყინტორა კრახუნა,
შემწვარი და მოხარშული,
იმერულად, კახურად...

ერთმა ლექსი წაიკითხა,
ვირის ყურზე უგრძესი;
მეორემ თქვა ამ პირველზე:
„კაციაო უბრძნესი!“

„საკუთარი ხმით გიცნობენ!“ —
დაუმატა მესამემ.
„მოკვდები და მუტრუკები
სადღეგრძელოს შესვამენ!“

მეორეზე პირველმა თქვა:
„მერანივით“ ლექსს წერო,

ჩოჩორზე რომ პოემა გაქვს,
მოდი, ერთი ლეწეო!“

ამ მეორემ წაიკითხა,
იმ პირველზე უგრძესი...
ახლა მეორეზე ითქვა:
„კაციაო უბრძნესი!“

მესამეზე მეორემ თქვა:
„სიტყვა აქვსო ფრთიანი,
წესით უნდა დააწერონ
მის წიგნს „დავითიანი“.

დიდხანს, დიდხანს იყროყინეს,
სუფრა აატლინკავეს,
ბევრი ღვინო აშაშლვავეს,
ბევრი ატლანტიკავეს.

ზევით მთვარე იღიმოდა,
მთვარე გვირგვინოსანი...
ქვევით სამი ვირი იჯდა,
სამი ვირი „მგოსანი“.

ჯანსაღი

ნახ. ბ. ფირცხალავაი

სამსაათნახევრიანი თვითშემოქმედებითი კონკურტის შემდეგ, რიგა მასპინძლის ბავშვს გელი შეეწუხება, მოკასეილიერთ და მერე სტენრბენ გაეხითი მოსაბრეულებენ, რიგა, ბოლოს და ბოლოს, ზუსტად ათ საათზე, დავით სოლომონიძის მობრანდა, აი, მაშინ შემოეკსხედით სუფრას.

დავერიეთ და რას დავერიეთ! სულ მთელ-მთელს ვაკლაპავდით: ხაჭაპურს ნაჭრებს, თეფშეულს, ფხალეულს, ქათმის, ინდაურის, ღორის, ძროხის, ცხვრის, ფიწალის, ვოვლის, ხბოს, ბატკნის ხორცს...

— ამხანაგებო, ჩვენი ძველი ქართული ტრადიციის!...

...იმისათვის და ამისათვის, ვინაიდან და რადგანაც, ისე და ასე, ამიტომ და ამიტომ...

— ჩვენს ჭირფას დავით სოლომონის, უნიკიერეს კაცს!... არა, ღმერთკაცს, დავით სოლ... არა, ეესო ქრისტეს გაუმარჯოს!!!

ზუსტად ორმოცდაცხრა წუთი მოანდომა მასპინძელმა დავით სოლომონიძის ეესო ქრისტედ გადაქცევას.

— ამინ!!! — ეიხეკვეთო სულგანაბულმა სუფრის წევრებმა და, აი, მაშინ დაიწყო, რაც დაიწყო.

— ჩვენი დავ... სოლ... ჩვენი ალაძის!..

— აჰ, დავით სოლ... ჩვენი ბეგდა!..

— რომის პაპი!..

— რომი ვატიკანშია!..

— პირიქით!..

— ეს!..

დავით სოლომონიძმა, ანუ იგივე ეესო ქრისტემ, ალაძა, ბეგდა, რომის პაპმა, გიორგი საკაკეშვილ, ერეკლე მეორემ, ვატიკნე გორგასალმა და, რასაკვირველია, დავით ალმაშენებელმა ყურანს ყურიც არ ათხოვა, სწორედ თავისი შესაფერისი სასმაილი — ლიტრიანი ყანწი ასწია და იტეხა:

— ჩვენს მასპინძელს, ღმერთივით კაცს... არა, ღმერთის მოციქულს... არა, ანგელოზს, ნამდვილად ანგელოზს!... თავისი უფრო ანგელოზი მეეღლეთ!..

მერე ეიღაცას რუსთაველი გაახსენდა: „სმა-ჭამა დიდად შესარგებო“... და ატყდა ისევ ჩვენი დიდი წინაპრის ნაანდერძევის სისტემატიზაციის მოყვანა: წყიალეთ, კიეალეთ, ყაყანეთ, გეგეკენეთ, ხარხარითა და ღრიალეთ შეკუმშეული, რასაც, მოგეხსენებათ, ჩვენ სიმღერას ვეძახ**ით.**

— განსვენებული სასმისი! — ბრდღვინავდა თამადა.

დატრიალდა მასპინძელი და რაც საბლში თასი, ჭვანი, ეოფი, ტაფები, როდინი, თეირმოსი, ტაფა და ლამპის შუშა ჰქონდა, ერთად დაიბეკვა.

— კიდევ სხვა!!! — გრგვინავდა თამადა.

„ეაითეკ. ახლა ვედრო მოიითხოვოს?!“ — შიშისგან თვალები გადმოეკარკლა.

მაგრამ თამადას ვედრო არ მოუთხოვია. მზეარა ჭერს მიაპარო და იკითხა:

— მასპინძელო, ეს რამდენიანია?

— ასოს ვატიანია, დავით!...

— არა, კაცო, ნათრებზე არ გეკითხები, ჭალი, ჭალი რამდენიანია?!

— აა... არრ ვვიეი! — დაიბნა მასპინძელი.

— ჰა, ჰა, ჰა! — ახარხარდა თამადა. — ამბა, არ იცი, ა?! — უკვე მეტარად გაიმმა.

— ეიმეკ! მაგ ჭალი ნამდვილად არ გეკუოდია, მზოთეეში მიმეყვა!— ერთი კი შეკკოლა დიასპორამ, მაგრაგ მისი ღიპიანი მეეღლე იმწამსვე ამ გაწყობილ სუფრაზე, ოფრამტები წლის ბიბეკეთ შეხტა და ატყდა ისევ ღრიალეული.

ამხელა კაცმა, იმხელა გაბიზნეგბელ სუფრაზე უცვმ ზღართანი მოდგინა. ირია ერთმანეთში შემწვარი და მოხარშული, ცოცხალი და მოხრაკული, დაკლული და დაუკლელი!

ნახევარი საათის შემდეგ თამადამ განაკრძო თავისი საქმე.

— ამ ორიგინალური სასმისით, აი, ამ მშვენიერი ჭიქით, უფრო მშვენიერს, ჩვენს საყვარელ დედაკაშმობლოს, ჩვენს პატარა, კოხტა, ზერმეხტ, ტერეკი, ლამაზ... სა... სა... აკართველოს!.. (აქ დავით სოლომონიძმა თავი ვეღარ შეიკავა და ეს მოზზეერეული კაცი დასაკლავი ხარივით ამოკივლდა).

ატყდა „მაგრამ რა ატყდა!

— სამყაროს გელი, სულ... ტვინი, ეპიი, ეუეი, ეიგარო! აი, რა არის ჩვენი საქართველო!

— აბა, ჰე და სმენად მზეენი მოვიდოთ! — არ ეშვებოდა ერთი რუსთაველს.

ისევ ატყდა ღრეული, ღრიალი, ჩხაკეული, ზეკვილი, კვეული, ოღონდ... ითხოვეთ მხეკეში არ მოსულან, ისინი ზოოპარკში არიან დამწყვდეულები, მოგეხსენებათ!

ზ. რატბიანი

ნახ. ჯ. ლოლაური

— ამაღლებული რევოლიუციონერ — ოტაბე, ბუმენ — კონტროლიორ, ფლეს... მოგიღლიეთ, თუ ძმა ხარ, მაგ ხეს, მეხი არ დაგეცეს!

მხოლოდ ორი პრაგმატიული განცხადება

ვარ მარტოხელა კაცი, ე. ი. არ მყავს ცოლი და, აქედან გამომდინარე, არც შეიეეეეში. ხუ-უ-თი თ-ვ-ე-ვ ვასტრულებ უფლისა პრეპარატორის რიფლსა და საპაკეთ მოვალეობას.

ეს ამიტომ მარტოხელა კაცი ვეცხოვრობ ოროთახიან ოზოლირებულ ხინაში. მე — მარტოხელა კაცს, მეზობლის მარტოხელა და ლამაზი ქალიგი ძალიან მაკვირვებს. ისე ძალიან მაკვირვებს, რომ დარეფისაკენ მუკმასხელა გავხედი. გადაკვეთვიტე შევიჩერო ცოლი, ეიეოლით ხუთი შვილი და ოხუთმეტი შვილიშვილი. ჩემი ოროთახიანი ოზოლირებული ბინა და მეზობლის ლამაზი ქალიგი ეი ამის ხაშუალებას არ მაძლევენ. ეთხოვეთ, ეაითვალსწინოთ ჩემი უკიდურესი მდგომარეობა და ჩემი მომავალი ხუთი შვილისა და ოხუთმეტი შვილიშვილისათვის მომეცეთ საშეი ხაროთახიანი ოზოლირებული ბინა.

არა ვარ პროფესორი და ვერც ვერასოდეს გავხდები. გაგვიცდი უკიდურეს ხაბინაო სივიწროეს. ბინა სრულეფით არ გამაჩინა და მოეკი ჩემი წიგნებითა და ხამუშაო მოწყობილობით ცოლთან ვარ შეხიზნული. წუნეთში რომ ხახლი მაქვს, ის ჩემი არ გეგონოთ, ჩემი ხამამრახაა. გაგიკაში რომ ავარაკი მაქვს, არც ისაა ჩემი, ჩემს უფროს ქალიშვილს ეკუთვნის. გთხოვთ, მე, მეოე ლერიეთი უხინაოდ და უკაკრიფოდ დარჩენილ პროფესორს, ეაითვალსწინოთ ხაქმანეი დახმარება და მომცეთ: ან ხამოთახიანი ბინა ლიკეთ, ან ხამოთახიანი ბინა ულიკოდ, ან ოროთახიანი ბინა ლიკეთ, ან ოროთახიანი ბინა ულიკოდ, ან ერთოთახიანი ბინა ოზოლირებულად, ან ერთოთახიანი ბინა ხაერთო ხამზარეულოთთ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ ხამეფო კაბინეტი.

ბარა ჩემია



— 100 ბრაკ ოროხუფში ვე კაკიეი!
— აბა, როგორ გინდა? „ეოლგეიე“ მაკეს ჩამოტანილი!

ეროვნული საჯარიანდანი

ჯაცი და ამოცანა

(მოთხრობა)

გურამ კუტოკიძე თანშეუხვიელი მოტორიელური ჰყავდა, ეეელიდა, ეეფერებოდა. არც მოტორიელური ირეხოდა ეალეში, ეზრუნავდა ეაესრულებინა ეის, ეზოეულად ეშსაურებოდა. ჭირსა და ღხინში თან ახლდა; ჭირსა და ეეხინში, ეზაზე და ეეზოზე ატარებდა. ეკრს არ ეკიდა და არ ეკვიხეტოდა, თორემ ცხენობას აღარაფერი აკლდა. კაცსა და ბაჭანას უსიტეყვოდ ეესმოდათ ერთმანეთის. გურამი რეხტორანში ეღხენდა, მოტორიელური ეარეკი ეელიდა; გურამი ეინში იყო, მოტორიელური კისერშოლრეულები ოდეს კედელთან. სადაც არ უნდა დარჩენილიყო, სიცხეში თუ ეინაში, ოდეს და ეოთხნებები ოდეთი. არც „ეოს“ ამბობდა, არც „არას“.

იმ დღეს გურამი და მისი ძმაკაცები ეყალტუბოს რეხტორანში ქეიფობდნენ. გურამი თამადა იყო. საერთოდ ხეეეს ხვამდა, მაგრამ ბაშინ, რატომღაც, სხვაზე ადრე მოგდგა კისერი. მაგიდიდან ადგა და ეესინდისიდ ეაიპარა. ეესეეზრისთათო ხალი ეეკითხანაბრა ლაგბოდა. ოფიციანტ: ჩემს სიეოცხლეში ერთხელ მაინც ეგდავდეთ ეერნერ ნაბიჯში. ამფანერებსა მოგვიანებით გაიღეს თამადის დაკარგვა. აქ ეალეადენ სუნი ფდასო, თქვა ვიღაცამ.

ეგეანინ ღამე იყო. ეკიეეი ეგამოეულა გურამმი ბანეაღილი მოძებნა ეეკეთის ბეჭმე ამოფარებეული მოტორიელური. ხელი ეგდაბეთა, მიეფერა; ფერე ძლიელეობით ეზოზე გამოკიარა. ეკურაში კაციშვილი აღარ ეჩანდა. სამაგერეო ნიავივ არ იძროდა და ცმელოდა. გურამი მოტორიელურზე შეედა, ამუშავდა და სწრაფად დაიძრა. მარჯენეე კიპარისის ხვეი და ფეშაბტეთა სანატორიუმის ეზიჩრამაზარი, თეფირი ფენიბა ეკიდესენი. სწრაფად ჩაეარა ბალის კოლონადაზე, შეუხეია მარცხენა და ჭეთიისისკენ მიმავალ ეზსა დაადგა. დაამახსოვრდა, რიფერ ჩაეარა ეგეიზბეის ეაგასახეეეს და მოეეოდნელად ეყალტუბოს ოკინიეზის ადგეურთან ეაჩნდა. სანამდე ეაარკვევდა, რატომ აღმოჩნდა სადეური ამ ეზაზე, ბანამ ეკვე რეხტორანი დაინახა და იმწამსვე ფეშაბტეთა სანატორიუმის სილუეტი ეაარჩია; ეგეურდზე მიხეფდაც ვერ მოსეწრო და ეკვე ბალის კოლონადასთან ამოაყო თავი. ეს ამბავი არაფრად ჩაუეფდა, უნაკარზე ეკსწორად და კვლავ ქეეთისისკენ მიმავალ ეზსა დაადგა. ეერილმა ნაოემა დაეეეარა, ეკიათმოენა და ჩაოეეეთმა კიდეეე. როდესაც ეგამეფიზზლდა, ისევ რეხტორანთან მოაგეეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. ჭუმბურიძისა

პირველი ფინანსური ოპერაცია.

მინიატურები

იგი იჯდა და წერდა. სტრიქონები ფარავდნენ თეთრ ქაღალდს. თბილისური ზამთრის მზე მთელი ენერგიით ათბობდა მას. ნაადრევად გამოხეთქილი კვირტები ლირიკულ განწყობას ჰქმნიდნენ. სადღაც, შორს, მონოტონურად ხმაურობდნენ მძიმეწონიანი მატარებლის თვლები და, იქვე, ბუხარზე, ტიკტიკებდა დიდი საათი.

იგი იჯდა და წერდა... წერდა საჩივარს მეზობელზე, რომელმაც გარაჟის მშენებლობა დაიწყო საერთო ეზოში.

* * *

მწერალ სიკინჭილაძის ახალ რომანს კრიტიკოსები გააფთრებით ეცნენ. ყველა გაზეთი აჭრელებული იყო სათაურებითა და რუბრიკებით: „სიკინჭილაძევ, სად არის რეალიზმი?!, „აბსოლუტური უცოდინარობა თანამედროვე აგრონომისა!“, „გაათავეთ ღრუბლებში ფრენა!“ და სხვა ამგვარი.

მხოლოდ ერთმა სტატიამ მოიხსენია იგი, როგორც მცოდნე, მამაცი, მებრძოლი და ნიჭიერი მწერალი. ეს სტატია იყო... ნეკროლოგი.

გ. კონტრიძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



ხუთსართულიანი ბინება.

სააკ ხუმარა

და... ხოხობიც კი...

(იუმორისტული ნოველა)

იმ დღეს, როცა უკვე ვამთავრებდით ერთ-ერთი დაბის საზკვების განყოფილების გამგის — ბუთხუზ ბულდანიჩის საქმიანობის შემოწმებას, მან საგანგებო თათბირი მოიწვია, სადაც კარგა ვრცელი სიტყვით გამოვიდა. მისმა სიტყვამ წარუშლელი კვალი დატოვა ჩემში არა იმიტომ, რომ მას არ აკლდა ჰუმანური და დემოკრატიული ელემენტები, არამედ იმ მოვლენით, რომლითაც შეწყდა ეს სიტყვა.

საჭიროდ ვთვლი მოგახსენოთ, რომ ბუთხუზ ბულდანიჩი არასდროს გამოირჩეოდა უბრალოებითა და თავმდაბლობით, პირიქით — ძალზე ეგოისტიც იყო და კარიერისტიც. ვერც თაფლზე უფრო ტკბილი ღიმილი შველოდა, მუდამ რომ გადაფენილი ჰქონდა მიმზიდველ სახეზე, და ვერც თავაზიანი სიტყვა-პასუხი. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში თბილ ადგილს ეძებდა, რა თქმა უნდა, არა ჰაერის, არამედ ჯიბის ტემპერატურის თვალსაზრისით. უყვარდა ტკიცინა ასიანები და აღმერთებდა ქვეყნად ყველაზე დიდი ბრილიანტის მფლობელს.

მეტისმეტი ჭამა-სმისაგან თუ ჯდომისაგან კუნძივით იყო დამრგვალებული. ისეთი მოკლე და სქელი კისერი ჰქონდა, რომ იმის შემხედვარე კაცს მაშინვე ხალხური ანდაზა გაახსენდებოდა: „მგელს იმიტომა აქვს სქელი კისერი, რომ ყველაფერს კისრულობსო“. მიუხედავად ამისა, ბულდანიჩი საჭმელებში მსუქან ლუკმას ამჯობინებდა, თუმცა, სხვებთან, მკაცრი დიეტის უპირატესობათა პროპაგანდას ეწეოდა. უყვარდა შავი ხიზილალა, ღორის მწვადი (რასაკვირველია, სუკისა), ცივად მოხარშული ვარია, შებრაწული გოჭი და სხვა. სვამდა შავ ღვინოსა და მხოლოდ ხუთვარსკვლავიან კონიაკს.

მაპატიე, მკითხველო, შენი ძვირფასი მოთმინების ბოროტად გამოყენება. განა დამავიწყდა, რომ საკითხი ბულდანიჩის სიტყვას ეხებოდა? მისი გამოსვლა ჩაწერილი მაქვს უბის წიგნაკში და მთლიანად მოვიყვან:

„ჩვენს სასადილოებში ადგილი აქვს აგრეთვე სხვა სისაძაგლეებსაც, — განაცხადა ორატორმა, თან, რატომღაც, ცერი გაუსვა საჩვენებელ თითს, — ამჯერად ლაპარაკი სადილებსა და მათში გამოყენებული პროდუქტების ხარისხს არ ეხება, არც მითვისებებსა და გაფლანგვებს და არც სანიტარიისა და ჰიგიენის ელემენტარული წესების დარღვევას. ირკვევა, რომ ყველაფერ ამასთან ერთად ირღვევა სახალხო დემოკრატიის წმიდათა წმიდა საფუძვლები.

«Человек звучит гордо!» — უთქვამს გენიალურ პოეტ... გორკისას (?!!); მუცელი მუცელია და კუჭიც კუჭი, რიგითი მშრომელისა იქნება ის, თუ ხელმძღვანელი მუშაკისა... და, როგორ გგონიათ, მუშებმა არ იციან, არ ესმით, ანდა ვერ ხედავენ ყველაფერ ამას?.. სულ სხვაა, როცა სტუმრები ჩამოდიან ცენტრიდან (ბულდანიჩმა მრავალმნიშვნელოვანი მზერა ისროლა ჩემკენ და თათბირის დამსწრეებმაც ერთი კაცივით შემომხედეს) და საჭირო ხდება ასპარეზზე გამოვიდეს მთელ ქვეყანაზე განთქმული ჩვენი სტუმართმოყვარეობა!..

შემოწმების დღეს, ჩვენი რესტორნის სამზარეულოზე მიდგმულ პატარა ოთახში, სადაც ისედაც თბილა, დგას სარკიანი ხელსაბანი საპნით და სუფთა პირსახოცით, ღუმელი გუგუნებდა მაშინ, როცა დარბაზში ხალხი ისხდა პალტოთი და ქუდით; მე არ ვლაპარაკობ სიცივისაგან გალურჯებულ და მოთახთახე მუშებზე — მათ ას-ასი გრამიც ეყოფათ, რომ გვარიანად შეხურდნენ, მე ვეხები იმ ამბავს, რომ პატარა ოთახში, სადაც უხვად გაწყობილი მაგიდის გარშემო თავი მოეყარა ჩვენი დაბის რჩეულ საზოგადოებას, მათ შორის იყო ჩვენი ძვირფასი სტუმარიც (თათბირის მონაწილეებმა კვლავ ერთი კაცივით მოიხედეს ჩემკენ), სუფრაზე ელაგა ისეთი საჭმელები, რომლებიც დიდი ხანია გაჰქრა ჩვენი ობიექტების მენიუებიდან: შავი და წითელი ხიზილალა, ღორის მწვადი (რასაკვირველია, სუკისა), მოხარშული და ტაბაკა ვარიები, ერთთვიანი შებრაწული გოჭი (რასაკვირველია, არა ფერმიდან) და... ხოხობიც კი...“

ალბათ, კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა ორატორი, იქნებ სხვა მაგალითებიც მოეტანა, რომ ადგილი არ ჰქონოდა იმ მოვლენას, რომელსაც ეძღვნება ეს სტრიქონები.

ხმაურით გაიღო ბულდანიჩის ზურგის, ან, როგორც ამბობენ, უკანა კარი და შემოვარდა ლამაზი და ჩაფუნთუშებული ოფიციანტი ქალი; შემოვარდა და როგორ შემოვარდა — სახეზე უკრთოდა ბრწყინვალე და ბედნიერი ღიმილი, თავზე მაღლა ეჭირა ვერცხლივით მოელვარე ვეებერთელა ლანგარი... უცბად მიხვდა რა თავის შეცდომას (საწყალმა არაფერი იცოდა თათბირის შესახებ), მოიკვნიტა შეღებილი ტუჩები და გაშეშდა თავზარდაცემული.

ლანგარზე წრეშეკრულად ეწყო ყველა დროისა და ყველა ხალხის უსაყვარლესი საჭმელები და... ხოხობიც კი...

აღელვებულმა თათბირზე დამსწრეებმა, რომლებიც ძალიან შეძრულნი იყვნენ თავიანთი უფროსის დემოკრატიული სიტყვით, თავისუფლად ამოისუნთქეს და ერთმანეთს გადახედეს.

მე კი ვუყურებდი ბულდანიჩს და მახსენდებოდა ცნობილი ანდაზა: „თევზი თავიდან ყროლდებაო“.

თარგმანი

ზეზვა მედულაშვილისა

„რეკლამის“ კონკურსი





ძვირფასო მკითხველებო! ნიანგს კარგად ესმის რეკლამის დიდი მნიშვნელობა. ამის გამო რედაქციამ მოაწყო კონკურსი თბილისში არსებულ ყველა განცხადებასა და აბრაზე. კონკურსი მიმდინარეობდა ფარული კენჭისყრით. უიურიმ გულდასმით განიხილა კონკურსზე წარმოდგენილი მასალები და, ხმის უმრავლესობით, პირველი პრემიები მიაკუთვნა აქ წარმოდეგნილ ნიმუშებს.

ნიანგის თხოვნაა, ყველა წარმოება-დაწესებულებამ გულდასმით შეისწავლოს ეს ორი პრემირებული წარწერა, როგორც ენის, სტილისა და აზრის იშვიათი „ნიმუში“.

კონკურსი გრძელდება. დარჩენილია კიდევ რამდენიმე პირველი პრემია.

ძმაო ნიანგო!

ქარელის რაიონის სოფელ დიდი ახალსოფლის ხიდზე ოცნება ამ სოფლის თავკაცებმა ქარს გაატანეს. ახლა გაზაფხული დგებიდგა, მდინარემ კალაპოტი შეავსო, მიმოსვლა შეწყდა. ახალსოფლელებმა ცურვის სექციის ჩამოყალიბება გადავწყვიტეთ, მხოლოდ მწვრთნელი ვერსად ვიშოვნეთ!

გვიშველე, ნიანგო! იქნებ სადმე, პირველთანრიგოსანი თუ არა, სპორტის ოსტატი მაინც გამოგვინახო მწვრთნელად და სასწრაფოდ მოგვაშველო პარაშუტით.

უხიდო წყალგაღმელები

საყვარელო ნიანგო!

„ნეტავ, ვიცოდეთ, ჩვენს უბანს
თუ ეღირსება სინათლე?
სად არ ვიჩივლეთ, არ იქნა,
ვერსად ვიპოვნეთ სიმართლე.
აბა, შენ იცი, ნიანგო,
თუ გვიხსნი, დაგვეხმარები,
გვიშველე, გამოგვიგზავნე
ჯიბის ელექტროფანრები!“

ასე ამღერებენ ჩონგურზე ოდიშის სასოფლო საბჭოს სოფელ ქვემო ლინდავის მესამე ბრიგადის მცხოვრებნი და ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილურის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის წევრები.

მეჩონგურეთა ანსამბლი

ჩემო ნიანგო!

ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარის ბეღლევის უბნის ტალახი თუმცა სამკურნალოდ არ ვარგა, მაგრამ მას სხვა ფრიად მნიშვნელოვანი თვისებები ახასიათებს. მაგალითად, ეკვრის და ეწებება თითქმის ყველაფერს, არასოდეს შრება და თუ ზედ გაიარე, ფეხსაცმლისა რა მოგახსენო და ფეხი კი აუცილებლად დაგრჩება შიგ. ჩვენი თავმჯდომარე ქალაქელია, ტალახს ორგანულად ვერ იტანს და ისე მოგვანატრა თავი, კოლმეურნეობის საერთო კრებაზე რომ შეგვხვდეს, შეიძლება ვერც ვიცნოთ.

დაგვეხმარე, ნიანგო! ამ სირცხვილს გადაგვარჩინე, გზა გაგვიკეთე, თორემ სად გაგონილა თავმჯდომარე თავის საყვარელ კოლწევრს იყოს დანატრებული?!

გადატალახებულები

ძვირფასო ნიანგო!

1965 წლის აპრილში, სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში, ამოვარდა ჩრდილო-აღმოსავლეთ-დასავლეთის ზომიერამდე „ნიავი“ და კავშირგაბმულობის ერთი ბოძი წაქცია, ბოძმა ხაზი გაიყოლა, ხაზმა კი იოსებ გიორგის ძე კევლიშვილის ბინის ტელეფონი დაამუნჯა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, და ამ ამბავმა ბევრ კეთილ ხალხთან დაამეგობრა დაზარალებული. გაჩაღდა „სასიყვარულო“ წერილების მიწერ-მოწერა მე-9 საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძის უფროს ამხ. კვიტაშვილთან, სიღნაღის კვანძის უფროს შუბითიძესთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, საქ. კავშირგაბმულობის სამინისტროს ტექნიკური ნაწილის უფროსის — ოგანოვის ყურსაც კი მიწვდა ეს ამბავი, მაგრამ, აგერ ერთი წელი გადის, წერილებს და დაპირებებს ბოლო აღარ უჩანს, ხოლო ტელეფონის ზარის ხმა კი არ ისმის.

იქნებ, შენ იცოდე, ძვირფასო ნიანგო, და მეც გამაგებინე — კიდევ რამდენი წელი უნდა ველოდო 200 მეტრი ხაზის აღდგენას, რომ ტელეფონის ამუშავებას ვეღირსო?

დაყრუებულ-დამუნჯებული ზენი ნატელეფონარი

№ 256 6 13/12

რედაქტორი ნ. დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 23/III-1966 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1062 უე 02980 ტირაჟი 50000

66-256
ეროვნული ბიბლიოთეკა
ИНДЕКС 76317

ნახ. გ. ლომიძისა

— დიეგო, სთხოვე ცოტა მიწა დაგვიტოვოს, თორემ შიმშილით ამოვწყდებით!

ამასწინათ წყალბადის ბომბებით დატვირთულმა ამერიკელმა თვითმფრინავმა ესპანეთის ტერიტორიაზე განიცადა ავარია, რის შედეგადაც მოიწამლა მიწა და მცენარეულობა. ამერიკელი ხელისუფლები იძულებულნი გახდნენ დაახლოებით 1500 კუბმეტრი რადიაქტიური მიწა სპეციალური კონტეინერებით წაეღოთ შეერთებულ შტატებში და დაემარხათ ეიკონას მახლობლად, სავანა-რივერაში.